ნიანგი

3

თებერვალი

1989

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა ექსპერიმენტისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოველა

ახლა, როდესაც გარდაქმნამ საყოველთაოდ მოიცვა ჩვენი ქვეყანა, როცა ახლებურმა აზროვნებამ ღრმად გაიდგა ფესვები ყველაფერში, დიდია ექსპერიმენტის ძალა. უკვე აშკარაა: ექსპერიმენტის გარეშე შეუძლებელია წინსვლა! შემოქმედებითი ძიება და სიახლე! — აი, რით სუნთქავს დღეს ყოველი ჩვენგანი.

მრავალ ექსპერიმენტს ჩაეყარა ბოლო ხანებში საფუძველი, მრავალ სირთულესაც ვაწყდებით, მაგრამ უკან დასახევი გზა რომ არა გვაქვს, იმასაც კარგად ვხედავთ. ძიება და მხოლოდ ძიება! — აი, ჩვენი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ექსპერიმენტის სიკეთემ ჩვენი ყოფის ყველა სფეროში მოიკიდა ფეხი. რა თქმა უნდა, ყველა მათგანზე არ შევჩერდებით, გვინდა გამოვყოთ ჩვენთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხი — გესაუბროთ განათლების სისტემაში მომხდარ მიმდინარე ძვრებზე

კარგა ხანია, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების დღის წესრიგში მწვავედ დგას სასკოლო რეფორმის საკითხი. კარგა ხანია, დიდი გულისტკივილით ვარწმუნებთ ერთმანეთს თანამედროვე სასკოლო სწავლების დრომოჭმულობაში. იმაში, რომ საჭიროა ახალი თაობის აღზრდის საქმეში რადიკალური გარდაქმნები.

და აი, დაიწყო ყინულმა ლღობა. ქალაქში გაიხსნა ექსპერიმენტული სკოლა, რომელსაც, როგორც ყველა სიახლეს, თავისი მტერიც და მოყვარეც გამოუჩნდა.

დღეს სწორედ ამ სკოლაზე მინდა გიამბოთ. მართალია, მხოლოდ ერთი წელია, რაც ტარდება ამ სკოლაში ექსპერიმენტი, მაგრამ მომავლის ბურუსიდან გამოკვეთილი სიკეთის კონტურები იმედით აღგვავსებს და აზრთა ურთიერთგასაზიარებლად განგვაწყობს.

მოდით, ჯერ სკოლის გარეგნულ იერზე შევაჩეროთ ყურადღება, — იმაზე, რაც უპირველესად თვალში საცემია.

ვისაც ამა და ამ რაიონში, ამა და ამ ქუჩაზე გაუვლია, უსათუოდ თვალს მოსტაცებდა ყველასგან გამორჩეული რამდენიმესართულიანი შენობა. ბევრი მათგანი დაინტერესდებოდა კიდეც იმით და ცნობისმოყვარეობასაც დაიკმაყოფილებდა...

რახან რაიონი და ქუჩა ვიცოდით, არ გაგვძნელებია ამ სკოლის მიგნება. პირდაპირ მივადექით ლამაზ, კეთილმოწყობილ ნაგებობას, რომელსაც ქალაქის ექსპერიმენტული სკოლა ჰქვია.

სკოლის ეზოში შესვლისთანავე ამაღლებული გრძნობა გეუფლება. აქ ყველაფერს გულშემატკივრის მზრუნველი ხელი ატყვია. მოლით გადაბიბინებული გაზონები, მარადმწვანე კიპარისებითა და ალვის ხეებით დამშვენებული ეზო, სადაც მხატვრული დეკორი შეაქვს სკოლის შენობას, თითქოს საზეიმოდ გიწვევს.

პირველი, რაც სკოლის შენობის ნახვისას გაგაოცებს, ეს არის მისი გარეგნული იერი. გეგონება, მშენებლები ეს-ეს არის მორჩნენ თავიანთ საქმეს, ისეთი პეწით გამოიყურება ერთი წლის წინათ აგებული სახლი.

ფასადი სუფთაა. არსად ბათქაში ჩამოცვენილი არ არის, არც საღებავია აცლილი არსად. შენობას არ აკლია არცერთი ფანჯრის ჩარჩო. ყველა ფანჯარაში მინაა ჩასმული. მიხვალ ახლოს ნაგებობასთან და გულს გაგიხარებს მოზაიკური კიბე, რომლის არცერთი საფეხური ჩატეხილი არ არის. მოსწავლეებს, განურჩევლად ასაკისა, თავისუფლად შეუძლიათ ამ კიბეზე როგორც ასვლა, ისე ჩამოსვლა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია შენობა შიგნით. მშენებლებს თითქოს მთელი თავიანთი ნიჭი და უნარი აქ გამოუჩენიათ.

სადაც უნდა შეხვიდე, უპირველესად რა თქმა უნდა, დაბლა დაიხედავ, რამეს რომ არ წამოჰკრა ფეხი, და მორიდებით გადადგამ პირველ ორ ნაბიჯს. აქ კი, თუ გინდა, თვალდახუჭულმა შეაბიჯე! — არსად პარკეტი აცვენილი არ არის!

იატაკიდან მზერა კედელს ავაყოლე. — აფერუმ თქვენს მარჯვენას, მშენებლებო! — ვიფიქრე გულში.

კედლებიდან მზერა ჭერზე გადავიტანე: აი, ძალა ექსპერიმენტისა! არც წვიმა იცის ამ მხარეში, არც თოვლი?!. — არსად ჭერზე ბათქაში ჩამოცვენილი არ არის! — გულში გავიფიქრე ჩემთვის. შევედი ერთ საკლასო ოთახში, მეორეში, მესამეში... ყველგან თვალს ახარებს ერთი ზომის ლამაზი მერხები, შავი, გაკრიალებული დაფები. ღია, ნათელი ოთახის ფანჯრებს ფარდებიც ამშვენებს.

მოკლედ, შევეშვათ გარეგნულ ეფექტებს და ექსპერიმენტის სულში ჩავიხედოთ, იქნებ ის, რაც ვნახეთ, თვალსატყუარია მხოლოდ!..

გავეცანით სკოლის პედკოლექტივს, მოსწავლე ახალგაზრდობას. ვისაუბრეთ, გულახდილად გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენი აზრები. ბევრი საინტერესო რამ გამოიკვეთა...

აი, რა გაირკვა: თურმე ამ სკოლაში ექსპერიმენტის სახით დაუნერგავთ წესრიგი, შეუქმნიათ ურთიერთთავაზიანობისა და მეგობრობის ატმოსფერო!..

თურმე ამ სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლის ცოდნის შემოწმებას. მასწავლებლებს გამორჩეული კი არა ჰყავთ მოსწავლეები, არამედ ყველას თანაბარ ყურადღებას აქცევენ.

გაბედულ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სკოლაში მხოლოდ ცოდნის მიხედვით აძლევენ შეფასებას მოსწავლეებს!.. ასევე ცოდნისა და დამსახურების მიხედვით ხდება ოქროს მედლების გაცემა, თანაც, რაც მთავარია, წინასწარ არ არის მედალთა რაოდენობა განსაზღვრული. მხატვრულად რომ ვთქვათ, ოქროს მედალს იღებს ყველა ის, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის!

ექსპერიმენტის სახით ამ სკოლაში უარი უთქვამთ აგრეთვე შპარგალკებზე. ბავშვებს უვითარებენ თავისუფალი აზროვნების უნარს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები არა მარტო მშრალი რიტორიკითა და სენტენციებით მოძღვრავენ ბავშვებს, არამედ პირადი მაგალითით ზრდიან მათ: აღსაზრდელებიც ცდილობენ მიბაძონ აღმზრდელებს.

ხაზი უნდა გავუსვათ ერთ სიახლესაც — აქ თავს არიდებენ ზედმეტ კრებებსა თუ თათბირებს.

სკოლას აქვს სპორტული კომპლექსი: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, საკუთარი საცურაო აუზი, სადაც ექსპერიმენტის სახით წყალიც ჩაუსხამთ.

თითქმის ერთი წელია, ამ სკოლაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობილება სუფევს. ყოველი აღმზრდელი ცდილობს ახლოს იყოს თავის აღსაზრდელთან, გამონახოს საერთო ენა, იმეგობროს მასთან.

კიდევ რამდენი რამის თქმა შეიძლება ამ ექსპერიმენტულ სკოლაზე, მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდებით.

მართალია, ამ ექსპერიმენტში ბევრი რამ შეიძლება მეტისმეტად გაბედულად მოგვეჩვენოს და ექსპერიმენტად დარჩეს მხოლოდ, **მაგრამ ბევრ** რამეს რომ სასიკეთო **პირი** **უჭირს**, ამაში ეჭვი არ უნდა **შეგეპაროს!**

ნომადი ბართაია

დემოგრაფიული არიფიონი

იუმორესკა

საქართველოში ფეხმოკიდებულმა დემოგრაფიულმა ინერტულობამ გვიან, მაგრამ მაინც გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება! ყოველი ჩვენგანი მზად არის მატერიალური დახმარების ხელი გაუწოდოს მათ, ვისაც ოჯახის შექმნა და ბავშვების გამრავლება მოუწადინებია!

ცნობილმა ბრაკონიერებმა კალმახელიძემ, ორაგულაშვილმა, ცოცხალაძემ, ლორჯუაშვილმა, ქვირითაძემ, წვერავამ რედაქციას აცნობეს, რომ ორი დღის განმავლობაში არ მოწამლავენ მდინარეებსა და ტბებში თევზს და მოგებას—15 053 271 მანეთს, რაც ამის შედეგად უნდა მიეღო სახელმწიფოს, მთლიანად გადარიცხავენ დემოგრაფიულ ფონდში!

საზკვების № 872 მაღაზიის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ერთი დღის განმავლობაში მუშათა სასადილოებში დაამზადონ ისეთი კერძები, რომლებიც არ მოწამლავს არც ერთ ადამიანს და მოწამვლას გადარჩენილი მუშებისაგან მიღებულ თანხას 230 781 892 მანეთს გადარიცხავენ გამრავლების ენთუზიასტთა დასახმარებლად!

სამკერვალო გაერთიანების მშრომელებმა ვალდებულება აიღეს, ორი დღის განმავლობაში შეკერონ მხოლოდ ხარისხიანი ტანსაცმელი და თანხა — 50371295 მანეთი, რაც უნდა ეზარალა სახელმწიფოს, გადაურიცხონ ახალშექმნილ ოჯახებს!

დედაქალაქის პოლიკლინიკების ექიმებმა სურვილი გამოთქვეს, სამი დღე ანკეტების შევსებით ნერვები არ მოუშალონ ავადმყოფებს და ამის შედეგად დროზე გამოჯანმრთელებული პაციენტები თავიანთ სამუშაო ობიექტებზე რომ შექმნიან 120733832 მანეთის პროდუქციას, მას მთლიანად გადარიცხავენ დახმარების ფონდში!

კავშირგაბმულობის მუშაკებმა გადაწყვიტეს, ის თანხა — 120 590 მანეთი, რასაც ქუჩის ავტომატები გადაყლაპავენ სამი დღის განმავლობაში, მოახმარონ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ბავშვებს.

№ 938 ავტოპროფილაქტორიუმის თანამშრომლებმა პირობა დადეს, რომ 2 537 391 მანეთი, რომელიც ორი დღის განმავლობაში ზედმეტი უნდა აელოთ კლიენტებისაგან, გადაურიცხონ დემოგრაფიულ საზოგადოებას!

ტრანსპორტის მუშაკებმა გადაწყვიტეს, სამი დღის განმავლობაში წესრიგში იყოლიონ ყოველგვარი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მუშა-მოსამსახურეთა დროის უდანაკარგოდ ტრანსპორტირების შედეგად სამი დღის განმავლობაში გამომუშავებული თანხა — 822 391 071 მანეთი მთლიანად გადარიცხონ საზოგადოების სპეცანგარიშზე!

№ 721 სახლმმართველობის მუშაკებმა გამოთქვეს სურვილი, კეთილმოაწყონ მეორე კორპუსი და ის თანხა, რომელიც უნდა ამოელოთ ამ სახლის მობინადრეებს თავიანთი ჯიბიდან კორპუსის კეთილმოსაწყობად, გადაურიცხონ დემოგრაფიულ საზოგადოებას.

ავტონაწილების № 902 მაღაზიის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ორი დღის განმავლობაში ზედმეტ ფასებში ნავაჭრი თანხა მოახმარონ საცხოვრებელი სახლების მშენებელ ახალგაზრდა ადამიანებს.

გახა გებია

სამშობიაროში



— ჩვენს შვილს ნისიად ვერ გაგვატანთ, ბატონო ექიმო?..

გრამატიკული შტუდიები

ვინაიდან ამ ბოლო დროს დიდად აქტუალური გახდა ზმნა „გაითავისა“, ჟურნალისტების დასახმარებლად გთავაზობთ ამ ზმნის უღლების ნიმუშს. დასაწყისისათვის დავამუშავეთ მხოლოდ ნამყო წყვეტილი იმ იმედით, რომ სხვები წარმატებით განაგრძობენ ჩვენს მიერ დაწყებულ კვლევას.

ნამყო წყვეტილი

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
მე გავიჩემისე	ჩვენ გავიჩვენისეთ
შენ გაიშენისე	თქვენ გაითქვენისეთ
მან გაითავისა (გაიმისისა)	მათ გაიმათისეს

ნამყო წყვეტილაძე

აჯაფსანდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

მიუხედავად იმისა, რომ **ნიანგი** ვარ და უფრო ხორცეულს უნდა ვეტანებოდე, ბოსტნეულის კერძები მაინც ძალიან მიყვარს, მით უფრო-მაშინ, როცა ვმარხულობ ხოლმე.

მოხდა ისე, **თელავში** სწორედ იმ დროს ჩავედი, როცა საშობაო მარხვას ვინახავდი.

სიამოვნების ცრემლი ამიკიაფდა თვალებში და რაკი თვალებს არ კუჯერებდი, მრავალგზის დავახამხამე.

არც მეტი და არც ნაკლები — ჩემს წინ აჯაფსანდალი იორთქლებოდა!..

ეს აჯაფსანდალი, როგორც ამიხსნეს, 1985 წლიდან კეთდება: სახარშ, საკმაზ და სანელებელ მასალებად მასში ბოსტნეულის ნაცვლად გამოყენებულია ყოველგვარი წიგნიერი და უწიგნური მასალა: განცხადებები, ბრძანებები, სარევიზიო აქტები, მიმართვ-მომართვები, სხდომათა ოქმები, აქტები, ცოცხალი ფაქტები, მოწმეთა ჩვენებები თუ მოჩვენებები, ახსნა-განმარტებები... ხოლო ქვაბი იგი, რაშიც აჯაფსანდალი იხარშება, გახლავთ **თელავის სარაიონო კულტურის სახლი!** გამიკვირდა, როცა მითხრეს, 1985 წლიდან კეთდებაო, ალბათ თქვენც გაგიკვირდებათ, მაგრამ არ უნდა გაგიკვირდეთ! — ეს აჯაფსანდალი უცეცხლო დუღილში იხარშება, უცეცხლო დუღილი კი, მოგეხსენებათ, წლობით და მრავალწლობითაც გრძელდება!

ჰოდა, ჩემო ბატონებო და ქალბატონებო, დუღს ქვაბი, ფურცელ-ფურცელ იორთქლება და ეს ფურცლები აქეთ-იქით იფანტება, ზოგი **საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს** ეფინება, იკინძება და გაბერილი საქაღალდეების სახეს ღებულობს, ზოგი **რესპუბლიკის პროფკავშირებში** ლაგდება ფენა-ფენად, ზოგიც **ჩემთან, რედაქციაში!** იქნებ ცოტა მაღლაც აღწევს, მაგრამ მე ამის შესახებ ცნობები არა მაქვს.

ისიც მითხრეს, თურმე ჩემამდე ბევრს უცდია ციცხვის მორევა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ისევ ჩემზე მოაგდეს საქმე, შენ მოურიე, რკინის ფიწალი გაქვს, არ გაგიტყდებაო!

ადრე მე ორჯერ ვიყავი აქ, ეს ჩემი მესამე ცდაა, მოვურევ, ვნახოთ, რა ამოტივტივდება!..

* * *

თელავის სარაიონო კულტურის სახლში ვიდრე აჯაფსანდალს შემოსდგამდნენ, მართლაც რომ კულტურული ცხოვრება დუღდა, მაგრამ ეს დუღილი წამოწყებულმა რემონტმა შეანელა. რემონტი, მოგეხსენებათ, გაურკვეველი ცნებაა, რასაც გინდა, იმას იგულისხმებ შიგ: მირევ-მორევას, მინგრევ-მონგრევას და მისთანებს. და, აბა, ასეთ დროს ვის გააჩერებ სამუშაო ადგილზე?! ცხადია, იყო დარღვევები!..

თუ მე ვმუშაობ, სხვებმაც უნდა იმუშაონო, ხმა აიმაღლა **მეთოდისტმა ნანა აბულაშვილმა.** შენ თუ მუშაობ და სხვები არა, უფროს მეთოდისტად შენ დაგაწინაურებთო, შეპირდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1985 წლის აგვისტოში მეთოდისტიც გამცდენ-დამგვიანებლებთა სიაში მოახვედრეს.

ეს უკვე შეპირებულის უკან წაღებას ნიშნავდა, რადგან შემოწმების დროს **ნანა აბულაშვილი „გაღმა ზონის სოფლებში“ იმყოფებოდა!**

მეთოდისტმა მეთოდი შეცვალა. **„იძულებული გავხდი, ოფიციალურად მედავა სხვადასხვა დარღვევებზე... 1985 წლის სექტემბერში ჩემი განცხადება ჯერ სახალხო კონტროლს გადასცეს შესასწავლად და შემდეგ — რაიონის პროკურატურას“.**

აი ასე, აჯაფსანდალი რემონტით, დისციპლინის მოშლით, ურთიერთკრიტიკით, საჩივრითა და საჩივრის შესწავლით დაიწყო. ქვაბში ახლა ორი მხარე აყრის სახარშ-სანელებელს — მომჩივანი და მოპასუხე. მასალები გროვდება და აჯაფსანდალის დონეც სულ მაღლა იწევს. **საქმეში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო ერევა!.. აჯაფსანდალს დოკუმენტური რევიზიის მოკვლეული მასალებიც ჩააყარეს!..** გაკრიტიკებულებმა და დამრღვევებმა, თავიანთი მხრივ, რაც ხელთ მოხვდათ, ყველაფერს ქვაბში ჩაუძახეს!..

ტყუილ-მართლის აჯაფსანდალი უკვე სერიოზულად წამოდუღდა...

„მე რომ მართალი ვიყავი, ამიტომაც 1985 წლის 21 ნოემბერს გადამიყვანეს სამხატვრო ხელმძღვანელად“. — ასკვნის ქალბატონი **ნანა აბულაშვილი.**

ამ დაწინაურებით დუღილი მცირე ხნით შენელდა, თითქოს შეწყდა კიდეც, რადგან ზამთარი დადგა, მაგრამ გაზაფხულის დადგომისთანავე ისევ წამოდუღდა ქვაბი!..

1986 წლის 23 აპრილს კულტურის განყოფილების გამგე ბრძანებით საყვედურს უცხადებს ნანა აბულაშვილს საიუბილეო კონცერტზე გამოჩენილი თვითნებობისათვის!..

ეს ბრძანება მეტად ცხარე სანელებელი გამოდგა, მის გასანეიტრალებლად ბევრი სიტყვიერი მასალა დაიხარჯა, მაგრამ ამაოდ!..

1986 წლის ივლისში კულტსახლის დირექტორად დაინიშნა დარეჯან რევაზის ასული ჭანკოტაძე. ახალი დირექტორი საქმით იწყებს:

„შევნიშნე, რომ კოლექტივი გაყოფილი იყო ორ ბანაკად, ერთ მცირე ნაწილს სათავეში ედგა სამხატვრო ხელმძღვანელი... ვცადე დამერწმუნებინა, რომ თანამშრომლებთან მბრძანებლური, აწეული ტონით მიმართვა საქმეს გააფუჭებდა“.

ეს ნაბიჯი მუჭით მარილის ჩაყრას ჰგავდა. **ნანა აბულაშვილმა** საპასუხოდ ისევ ძველი საკმაზი გამოიყენა, რაზეც დირექტორმა ასეთი შენიშვნით უპასუხა:

„ორი-სამი თვის მანძილზე მელაპარაკებოდა სხვების უსაქმურობაზე და უტვინობაზე... თავისი სურვილით კატეგორიები დაკლო ზოგიერთ კულტურის სახლსა და კლუბს...“

ახლა სამხატვრო ხელმძღვანელი შლის მუჭს:

„მე ვამხილებდი უამრავი ტექნიკური შტატების სპეცსახსრებზე არსებობას და მათზე გაფორმებული ხალხის მიერ ხელფასის არაკანონიერ მიღებას“.

დირექტორი ვალში არ რჩება:

„ჩემს დაუკითხავად შეიტანა ბრძანების წიგნში ბრძანება მეუღლის — მძღოლის ზაურ ბიძინაშვილის მივლინებაზე სიღნაღში“.

...აჯაფსანდალი დუღს, ქვაბის ერთ მხარეს დირექტორს მომხრენი დგანან, მეორე მხარეს — სამხატვრო ხელმძღვანელის მომხრენი, რომელთა რაოდენობა დღითიდღე მცირდება!..

დგება 1986 წლის 16 ოქტომბერი, კულტსახლის დირექტორი № 97 ბრძანებით საყვედურს უცხადებს სამხატვრო ხელმძღვანელს „მრავალგზის ხულიგნური მოქმედებისათვის“.

ნანა აბულაშვილმა იგრძნო, რომ ქვაბში იმხელა დოზით ჩაუშვეს უცხო სანელებელი და თანაც ისე ცხარე, რომ მთლად წაიშალა ამით მისი ნაღვაწი. მაგრამ რა ექნა? იმასღა ახერხებს, რომ იმ ადგილას, სადაც ბრძანება ეკიდა, თავის პროკლამაციას აკრავს: **„ქვეყნად ყოველი უსამართლობა მაინც სიმართლის სახელით ხდება!“**

ეს აქცია აჯაფსანდალს ცოტათი უცვლის გემოს, მაგრამ მაინც ვერ ანეიტრალებს.

ამის საპასუხოდ დირექტორის მომხრეთა მიერ შედგა „აქტი № 1“ და ამასთან მოწვეულ იქნა პროფკომიტეტის სხდომა მომხდარზე რეაგირებისათვის.

ნანა აბულაშვილის საპასუხო სვლა — არ ესწრება სხდომას, პროტესტი იმითაა დასაბუთებული, რომ სხდომის მონაწილენი მის მიერ მხილებული პირები არიან!

18 ოქტომბერს დირექტორის მომხრეთა მიერ დგება „აქტი № 2“ იმის შესახებ, რომ ნანა აბულაშვილი სხდომაზე 45 წუთით გვიან მოვიდა და რაკი შეატყო, რომ განწირული იყო, დამთავრებამდე დატოვა იგი!..

აჯაფსანდალი დუღს, კულტმასობრივი მუშაობა — აღარ!

დირექტორი წერს „მომართვას“ საკლუბო დაწესებულებათა პროფკომიტეტის თავმჯდომარისადმი, სადაც ჩამოთვლილია სამხატვრო ხელმძღვანელის შეცოდებანი.

18 ოქტომბერს გამართულ სხდომას დადგენილება ვერ გამოაქვს ნანა აბულაშვილი ითხოვს წინასწარ გააცნონ „მომართვის“ ტექსტი.

1986 წლის 5 ნოემბერს დირექტორის მიერ იწერება ბრძანება № 107, სამხატვრო ხელმძღვანელი ღებულობს სასტიკ საყვედურს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.

7 ნოემბერი კარსაა მომდგარი!..

აჯაფსანდალი დუღს, კულტმასობრივი მუშაობა — არა!

„ვინც კარგად ვიყავით ნანა აბულაშვილთან, ყველა მოგვაშორა“. — ოხრავს სამხატვრო ხელმძღვანელის ერთი მომხრეთაგანი.

იწერება მორიგი აქტი, დაუნომრავი, იმის შესახებ, რომ 20 ნოემბერს ვერ ჩატარდა პროფკომიტეტის სხდომა ნანა აბულაშვილის გამოუცხადებლობის გამო. ოქმით ფორმდება, რომ სხდომა გადატანილია 21 ნოემბრისათვის.

სამხატვრო ხელმძღვანელს არც ბრძანების, არც აქტის, არც ოქმის დაწერის საშუალება არა აქვს და ზეპირსიტყვიერებაზე გადადის — იმუქრება!

აჯაფსანდალი დუღს, საკლუბო მუშაობა — არა, რადგან სოფლის კლუბების მუშაკებიც აჯაფსანდალის კეთებას უნდებიან.

ერთი ასეთი მუშაკთაგანი აჯაფსანდალს ბატკნის ხორცს უმატებს და მთლად უკარგავს გემოს — ჩაქაფულს ამგვანებს: **ნანა აბულაშვილს ბატკნის ქურდობას სწამებენ. (!).**

ნანა აბულაშვილი კვლავ ზეპირსიტყვიერებას მიმართავს!..

19 ნოემბერს დირექტორი განცხადებით შედის კულტურის განყოფილების გამგესთან, ითხოვს მის თანხმობას ნანა აბულაშვილის გათავისუფლებაზე და იღებს კიდეც!

აჯაფსანდალი დუღს და დუღს, კულტურული ცხოვრება — არა!

1986 წლის 21 ნოემბერს პროფკომიტეტის სხდომას გამოაქვს ერთსულოვანი გადაწყვეტილება: **„უფლება მიეცეს დირექტორს დ. ჰანკოტაძეს გაათავისუფლოს სარაიონო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნ. ი. აბულაშვილი სამუშაოდან“.**

ამ სხდომასაც, ისე როგორც სხვებს, არც თავმჯდომარე ჰყავს და არც მდივანი. ამ დოკუმენტს, როგორც დირექტორის მიერ შედგენილ სხვა დოკუმენტებს, ერთი სოლიდარული ჯგუფი აწერს ხელს, ერთ დროს მხილებულნი **ნანა აბულაშვილის** მიერ. დაზარალებული, — ამჯერად უკვე მერამდენედ, იწყებს მათ მხილებას, სასამართლოში ჩივის!.. აჯაფსანდალი სისქეში და სიმსუყეში მატულობს!..

მოსამართლე გ. მაღრაძემაც თავის მხრივ ზოგი რამ დაამატა. **„მ ო ს ა რ ჩ ე ლ ი“ „მ ო ს ა რ ჩ ლ ე დ“** მოიხსენია! **ნანა აბულაშვილი** კი ვის გამოესარჩლებოდა, თავი უჭირდა! მოსამართლემ ისიც ჩაწერა გადაწყვეტილებაში, რომ **„სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში ნ. აბულაშვილი წლების მანძილზე არ ასრულებდა შრომის „შინაგანაწესით დაკისრებულ მოვალეობასო“. (!).**

ნანა აბულაშვილი კი **1985 წლის 21 ნოემბრიდან 1986 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით მუშაობდა ამ თანამდებობაზე** (ესეც საინტერესო დეტალია!).

„ჯერ ერთი წლისაც არა ვარ, შარშანწინ როგორ მნახეო?“ — კრავის ხმით შეეკითხა **ნანა აბულაშვილი გ. მაღრაძეს,** მაგრამ პასუხი ვერ მიიღო!..

აქ კი უმწეოდ მიმოიხედა უმუშევრად დარჩენილმა **ნანა აბულაშვილმა** და ჯერ უმაღლეს სასამართლოში, მერე კი სხვადასხვა ინსტანციებში აფრინა საჩივარი.

აჯაფსანდალი კი ტყუილ-მართლით ივსებოდა და ივსებოდა, დუღდა და დუღდა!..

წლინახევრიანი ბრძოლის შემდეგ, 1987 წლის 20 ოქტომბერს, ნანა აბულაშვილი რეაბილიტირებულ იქნა — აჩინებულის კულტურის სახლის დირექტორად დაინიშნა. აჩინებულის კულტურის სახლმა ქალაქის კულტსახლის სტატუსი მიიღო.

აჯაფსანდალმა დუღილი შეწყვიტა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე **დარეჯან ჰანკოტაძემ** ვერ აიტანა, რაიონის ხელმძღვანელობასთან ქაღალდი აფრინა და თავისი ბრძანება შეახსენა. მართლაც, „მგლის ბილეთით“ მოხსნილი პიროვნება როგორ შეიძლებოდა კულტურის სახლის დირექტორი გამხდარიყო?!.

თელავის რაიაღმასკომში მიხვდნენ, რომ გადაამლაშეს და იოლად გადაწყვიტეს საკითხი: ძველი განკარგულება ახლით შეცვალეს, აჩინებულის კულტურის სახლი თვალსა და ხელს შუა გააქრეს და მისი დირექტორიც მშრალზე დასვეს!

აჯაფსანდალი უარესად წამოდუღდა!..

ნანა აბულაშვილმა კვლავ სხვადასხვა ინსტანციაში აფრინა ქაღალდები!..

თელავის რაიაღმასკომმა № 18 ბრძანებით შეცვალა თავისივე განკარგულება და ნ. ი. აბულაშვილი კვლავ აღადგინა კულტურის სახლის დირექტორის თანამდებობაზე. დ. ჰანკოტაძე კი იმით ანუგეშეს, 1 აპრილს დანიშნულ დირექტორს ძალა არ ექნებაო!

აჯაფსანდალმა დუღილი შეწყვიტა, შეწყვიტა თითქოსდა სამუდამოდ...

მაგრამ აქ ნანა აბულაშვილს ძველმა ტკივილმა გაუხსენა — შრომის წიგნაკი ასე როგორ გამიფუჭესო! ამან ისიც დამიმტკიცა, რომ თელავის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორმა დარეჯან ჰანკოტაძემ ქალაქის სწორედ იმ დაწესებულებებს ჩამოუარა სახელშეკრულებო ფურცლებით, რომლებთანაც ქალაქის კულტურის სახლის დირექტორი აპირებდა ხელშეკრულებების დადებას...

ნანა აბულაშვილმა ისევ ქაღალდები აფრინა, და მე, ნიანგი, სამკაპდაბჯენილი, უკვე მესამედ ჩამოვედი თელავში, თანაც ფეხით!..

აქ კი ჩემს თვალწინ წამოდუღებულ აჯაფსანდალში კიდევ ერთი მწიკვი საკმაზი ჩაყარეს...

სარაიონო კულტსახლის დირექტორის ორი განცხადებიდან ერთი პარტიის რაიონულ კომიტეტში იდო, მეორე — რაიაღმასკომის კულტგანყოფილების გამგესთან: მუდმივ სტრესულ სიტუაციებში მუშაობას ველარ ვიტან და გთხოვთ გამათავისუფლოთო!

მე, რომელიც ამგვარ სიტუაციებში არასოდეს ვიბნევი, აქ პირველად შევყოყმანდი, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე წამოდუღებული აჯაფსანდლისათვის რითიმე მეშველა, ფიწალი ქაფქირივით ავუქავრე და დუღილის განელება ვცადე!..

P. S. კულტურის განყოფილების გამგეს თავიდანვე უნდა სცოდნოდა, რომ ორი ენერგიული ქალბატონის ერთ ქვაბთან დგომა ორი ციცხვით ისევე დაუშვებელია და შეუძლებელიც, როგორც ორი ხმლის ერთ ქარქაშში ჩაგება!

„ნიანგს“ თელავში აჯაფსანდლის სულის შებერვასა და დაჰაშნიკებაში ეხმარებოდნენ სპეცკორესპონდენტები: ელგუჯა მერაბიშვილი და ივანე ოსეფაიშვილი.

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ყოლეგი წეროთეკრა 4 საფრანგეთ-თრიალეთი ლიტერატურა

საათის ძანჭიკი

ბანგიკმა ბატომ
რომ პოიხეტოს
და აბოვარდეს
მწეუხბრი რატმდან,
საათი ვეღარ
გვიჩვენებს სრულ დროს,
ვერ დათვლის წამებს,
როგორც ითვლიდა!..
თუ ვერ შეეძლიათ
რიტმის აღდგენა,
დრო აგვერევა
საკმაოსან!..
ერთი ბანგიკის
გაბზე გადგომა
საათის შიგნით
არის ქაოსი!

გუნება

თვითონ ცოცხალია
ბუნება,
ჩვენ მასა ეთბესმა
უმეტ გვშვა,
როდი მიგვაგიგებს
უვნებლად,
თუ მშობელს შევეხეთ
უხეშად!

მთის ტეე რომ ეაქციეთ
ქაღალდად,
რკინა რომ საათიეად
გამოგვაქვს,
წყარიეს სულ ეეღებს
დაღადრავს,
საკანეთ ეედანთს
გადმორგავს.

სოფლის გამგეგელი

ამსხვრევენ,
ამგარევენ,
ანგარევენ
ღმერთების ანაგეტს!..
სახატე დაამგვანეს
სანავეეს,
გიფეს ნაანალურებს
და ნაგეეს!..
ახეა, როს სოფელს
ვიღაც მემწვანილე
განაგეტს!

თედორე კველთელი

ჩემზე უკეთესს,
ხალხის მოკეთეს,
თედორე კვლთელს
თავი მოპკეეთეს!..
კლდეზე უკეთლეს,
რკალზე ეკვეთელს,
სულზე უკეთეს,
ცეცხლს შეუკეთეს!..
ვინ რას უკეთეს
მაგრელ უკეთეს,

რისთვისაც კვლთელს
თავი მოპკეეთეს?!

შური

შური დადის
შარაშურით,
ვინც ავსო
ავი შურით,
ბეერს წაართვა
დანაშაული,
ბეერს გაუპო
ლადი შუბლი
ჭორის ტყვიით,
შუბამის შუბით!..
შურრმა მოსპო
ბეერი,
შვილი მამას
გაფაპეიდა,
შური ისე
ძლიერია,
ერის ბეერ მიმეავს
გასხეიდად!
ჩამოაგდო
მაღლით ზენა,
შოთა სადღაც
გადახვეწა,
სამა ხეეწეკას
შეაეენა,
ვერ უშველა
ცასთან ხვეწნამ!
გურამიშვილს
რას ერჩოდა? —
ქართველის მიწა
არ აღარსა!
ბეხეკა, წამულს
საელრიდა,
ეამს სხვა მიწა
სამარისა!..
საკაძეც
დაიკარგნა,
ქართველის მტრების
დამეჩეხეულ!
შურმა ცეცხლის
ნავლში ჩაფეა,
დაგვეარგა
მაჩაბელი!..
შური თუმეა კარგად
ხედავს,
კარგად მაინც
როდი განსეის! —
მან ფრთიანი
მერნის მხედარს
გაუთხარა მიწა
ბაგეის!..
ბაგეაკაძეც
შურით მოკლეს!..
შურს ბოროტი
უნდა ეპას!
ბოროტეეს დღე
აქეს მოკლე,
დღეგრძელობა —
უკვდავეებს!

ყვავი

ეკვეი ცოცხლობსო
სამას წელეწადს! —
ეს რომ მართალი იყოს,
მთელი დედამიწა
ახლერ დაფარეული
ექნება იმ ყოვს!

სავედრაგელი

ეეეედრები გამჩენს,
თეთრის, შავის გამრჩეეს,
სანამ წეკალ მარადიდ,
კარგი კეალი დამრჩეს!
ფუ რამ ვცოდე მანამდის,
ის გამჩენს სარჩელს
და დამადეს სასჯელს!

სიყვარულის მათხოვარი

სიყვარულის სამათხოვროდ
დადგებვარ და
დაეწყინეალეს!..
ჩემი გული
ტკბილს მოითხოვს,
შენ კი მწარეს
რად მაძალებ?!.
სიტკბოსათეს
დამადებულს
ისე უდვთოდ
რად მამწარებ?!.

უნდა დამინდო!

ადიდებულხარ, ზანაო,
არ დამინგრიო სანავო!
უნდა დამინდო ზანამამ! —
მუდმივად მაგეოდე,
სანამ ვარ!..

ღლეტა-გატანია

დედა, რა მეხლი აქვთ!
ფიდა, რა ტანი აქვთ!
გენდებში ბიგები
ნეტავ რად არიან? —

რატომ არ იციან
ღლეტა-გატანია,
ჩვენი მოგონილი
ღლეტა-გატანია?

ხედავთ, — რა მინდორი,
ხედავთ, რა ფერია?
ბილო ადგილებზე
ნეტავ რად არიან?
რატომ დაივიწეეს
ღლეტა-გატანია,
ღლეტა-გატანია,
ღლეტა-გატანია?

სხვები რომ საბრძოლოდ
ღმერთმა გადარია, —
ჩვენები დამდგარი
ნეტავ რად არიან?
ბრძოლა გამარჯვების
ფერია ხადალია!
რატომ დაივიწეეს
ღლეტა-გატანია,
ჩვენი მოგონილი
ღლეტა-გატანია?

თუმეცა მჯობნის მჯობნი
ქვეენდ რამ დალია,
უმჯობ ბრძოლის ველზე
რბენა ხანდალია!
ადგეეს წინაპართა
ღლეტა-გატანია,
ღლეტა-გატანია,
ღლეტა-გატანია!

ცხრილი პაპარას და
დიდის გამრჩეეია,
წვრილნი ვაძეერებიან,
მსხვილნი დარჩებიან!..
ველზე ჩანს, თუ ერი
რისი დამძლეეეა,
რისი ბაჯნისა,
რისი გამძლეხია!

საიბაკეები
ნეტავ სად არიან?
რატომ მოიგონეს
ნეტავ ლატარია? —
ესეც ხომ არ არის
ღლეტა-გატანია,
ღლეტა-გატანია,
ღლეტა-გატანია?

გაფრთხილება

მე გაფრთხილებ
სულეიდან:
საკმე რატომ
გაჯერეგე?
ენის ტკბილი დაკბირე
და ეკვეი უტყვეოთ!
კაცს რითაც ქლეკ,
სულ ერთია, —
დანით,
ენით
თუ ტეეიით!..

გაძეეული კაცი

კაცი, სოფელს
გაქცეული
არის სახლ-კარ-
დაქეეული,
ზნეობრივად
დაცემული,
დადის თავზარ-
დაცემული!..

კვაჭობა

ღმერთების საბრძანებელში
გახეერებულ
ვაჭრობა!..
ანგელოზი რომ
გეეეარა,
გამოიჩინა
კვაჭობა:
ფუთის და ჭალის
შიგნაში
ყველა წინაპარს
აჭობა!

გალმერთებული

ღამეს დავუწეე,
ღმერთის შეეწნილს,
გამეჩხერება,
ნათლის გამჩენი
ნათლისმცემლად
ხალხს ეჩვენება!
ღმერთი არის,
ვინც ხალაშეკრიდ
ღამეს შეეხა,
გამალმერთეს და
ამამაღლეს
ცამდე ჩვენებმა!..
მიეა დავლაშქრე
და დავეწეე
ცას შეჩვენება!
ღმერთი მეგონა
თავი,
აწი რა მეშველება?!

სკამი

არ მითხოეთ
სადიდაცო
სკამი არასწორს,
ისე კი მოხოედ სული
დალლილს:
„არეინ დგაბეწრარს!“
მე დაბაკდომად
საკმეეებმ.
არ მომაკლეს,
ის კი არა და,
ჩემი ჯორკოც
გამომაცალეს!
მე ტახტს
არ ვფლობდი,
რბილ სავარძელს
არ ვსაკეთრობდი!
ზრდილობა მჭონდა,
ჭკეა — არა:
სკამს სხვას
ვეთხობდი!

ჩემი მესაფლავე

ცოცხალს გამოთხარა
სიფლავი კაცმა,
რიცა ამოეიდა,
ეწეა, ვაცდა!..
— კარგი ადგილეთ! —
დაბაშვრალს დახეცდ.
— ამას არ ეკეთენარ! —
გაბსავ მკაცრად.
სიფლავში ჩახედა,
კალეეში ბალი
— კარგად ვამთხრეთ! —
ეიტა ბალეეში.
ვერ გაიმეტა და
ჩემს ნაცვლად ჩაწვა!..
იმ ეამეს დაიწეო
იმ კაცის ეკარეგმა! —
შიგ რომ ჩაიძირა,
ბუნება გაწყარა,
დაიწეო მიწისძვრა
და ბალი ცხრა-ცხრა
კარგად რომ დამარხა,
ბუნება დაცხრა!..
და მოვიხეენეთ
მე და ამ კაცმა!..
ასეა ბუნება,
ავ კაცს ხეარ
მკაცრად!..

მხალიანი ჟურჟელი

თავის ხერელში
ხმალად შეეტრა,
შხამს რომ ეამლად
იძლევა,
ნატვრისთვალის
მბლეკეელთ!..
მაშინაც კი
კაცს შეძრავს,
რაც გარდაცვლება
შეიეერებით
ზურგეერელი!..
რომ შიგ
არა დარჩეს რა, —
ისე არ დაილეტა.
შხამიანი ჭურჟელი!..

* * *

შენი მიეცი,
თუ სისხლისგან
კაცი დაცალეს! —
დრო დადგება და
შენი სიხმელი
თავს განაცვალებს!

* * *

რომ არ მეეგმა ხორცი,
რა მეეწა?
ბაგრან ვერ იტეეს
კაცი, —
ჭიათი დამეელას
და ამეეწას!

ილუსტრაციები
ჯ. ლოლუასი

თენგიზ გოგოლაძე

ფსიქიკური მომენტი

სავალალო ჩანახატი

გერონტი ხუნდაძე რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. სხვა ბევრ შელავათთან ერთად აქვს ქალაქის ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებაც. აქვს თავზე საყრელი თავისუფალი დროც, ამიტომ მაღაზიებსა და ბაზარზე ოჯახში იგია გაპიროვნებული. მძიმე ტვირთი აწევს, მძიმე მისია აკისრია, მაგრამ რა ქნას! იქნებ ამ სამსახურიდანაც მალე გავიდეს პენსიაზე. თავს ატყობს, დღითი დღე ძალა ეცლება. ე, მაშინ კი ოჯახიდან რომელიღაც წამოეშველება. წამოეშველება, აბა, რა იქნება, ჭამა-სმა ხომ უნდათ! ეს სამომავლო გეგმაა. ამჯერად კი იგია ოჯახური სასურსათო პროგრამის მომგვარებელი. აქვს საკუთარი საკმაოდ მოზრდილი ჩანთა.

მაღაზიაში ან ბაზარში წასვლის წინ ცოლი უტარებს პატარა ოჯახურ საწარმოო თათბირს, — რა სჭირდებათ იმ დღეს, რა სახის პროდუქტები სადილ-ვახშმისათვის...

ცუცამ საოჯახო არითმეტიკა ჩინებულად იცის და ზუსტად უანგარიშებს გერონტის:

— პურის ფქვილი — ორი პარკი, სამკილოგრამიანი — ორი მანეთი და სამოცდათექვსმეტი კაპიკი! ოცი კვერცხი — ორი მანეთი და სამოცი კაპიკი!.. ცელოფანის პარკი არ დაგავიწყდეს! დაიხსომებ, რაც უნდა იყიდო, თუ დაგიწერო?

— დავიხსომებ, შე ქალო, სკლეროზი ჯერ არ მომრევია!

— ჰო, კარგი! კარაქიც გვინდა!..

— ჩვენებს ტალონები არ მოუტანიათ. ერთი ტალონი გვაქვს, იმასაც იანვარი აწერია. შარი არ მომდონ, ახლა ხომ თებერვალია!..

— იანვარში აპირებდნენ და გადაიფიქრესო... ახლა ისევ გადმოიფიქრესო და დაბეჭდილს რას უზამდნენ? ძალაშია!

— იანვრის, თებერვლის?

— ალბათ მაგ ტალონებს აღარ დაგვირიგებენ, პირდაპირ მარტზე გადავალთ!..

— მერე მომავლის ისტორიკოსები რას იტყვიან? ჩვენი დროის შრეებს რომ გათხრიან, იანვარ-თებერვლის ტალონებს ამაოდ რომ დაუწყებენ ძებნას!.. გაწვალდება ხალხი, აი ეს მაფიქრებს მე!..

— ორ მანეთსა და ოცდათხუთმეტ კაპიკს გადაიხდი! — უცებ შეაჯამა ცუცამ, — მარგარინიც მინდა, გერონტი, ორი ბრიკეტი!

— ნაღებიც, ორმოცდახუთკაპიკიანი. ორ ბრიკეტში — ოთხმოცდაათი კაპიკი! — სხაპასხუპით მიუგო გერონტიმ სკოლაში მიმავალ მოსწავლესავით, რომელმაც იმ დღეს ყველაზე უკეთ დაისწავლა გაკვეთილი.

— ხურჯაში არ მოგატყუონ! სულ ყველაფერში უნდა გადაიხადო რვა მანეთი და ოცდათერთმეტი კაპიკი!

— ჰო, არაფერს დაგვაკლებენ, იმათმა მზემ! — თავისთვის ჩაიდუდღუნა გერონტიმ, თავისთვის, რადგან ასეთი რამის გაგონებაზე ქალს ალმური ედება. გერონტი ცოლის ნერვებს უფრთხილდება. აბა, რა ქნას? უნდათ, რომ ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს.

გერონტი შინიდან რომ გადიოდა საყიდლებზე, ყოველთვის ახსენდებოდა ერთი შემთხვევა მაღაზიაში. დგას რიგი, არა უშავს რა, რიგიანი რიგი. არც არავინ მიდის ურიგოდ, არც არავინ აწყდება ერთმანეთს და არც იგინებიან. დგანან და მიჩოჩავენ დახლისაკენ. გერონტის დასჩემდა თავის წინ მდგომნი მალიმალ გადაეთვალა. იმ დღესაც გადათვალა. როგორც იყო, ოცი კაცი ორამდე დავიდა, ბოლოს ერთი კაციღა დარჩა მის წინ. გამყიდველს ააწონინა იმ კაცმა, რაც რამ ასაწონი ჰქონდა. გამყიდველი ფაშფაშა ქალი იყო (მისი სახე სამუდამოდ ჩარჩა გერონტის!). ქალმა საანგარიშოს გაჰკრა-გამოჰკრა.

— თხუთმეტი მანეთი და ათი შაური! — უთხრა სწრაფად მოქალაქეს.

მოქალაქემ — დაიცათ, ქალბატონოო, კარგად იანგარიშეთო!

როგორ თუ ეს შეკითხვა მაკადრაო, — ფაშფაშამ წარბები შეკრა და მრისხანედ გადმოხედა, ერთი კიდევ რას მეტყვისო.

— თხუთმეტი მანეთისა და ორმოცდაათი კაპიკის ნაცვლად უნდა მოგართვა თხუთმეტი მანეთი და ოცდათერთმეტი კაპიკი!.. ეჭვი მეპარება, რომ თქვენ ჩემზე უკეთ იცოდეთ არითმეტიკა!.. მე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი გახლავართ!..

— დოქტორი კი არა, მათხოვარი ყოფილხარ!

თეთრხალათიანი ქალის ქუხილი ზოგჯერ ახლაც ჩაესმის გერონტის. მას შემდეგ ყველა გამყიდველი, ქალი იქნება თუ კაცი, მაინც ის ქალი ჰგონია და ყოველი მათგანისაგან მოელის რაღაც ისეთს...

ერთხელ კი, შინიდან მხიარულ გუნებაზე რომ გავიდა, გზაში უნებლიეთ ლექსი შეთხზა, დიახ, ლექსი, ჩვეულებრივი, გამართული, რითმიანი ლექსი:

აბა, შენ იცი გერონტი,
გვარად რომა ხარ ხუნდაძე,
არ აიშალო ნერვები,
არ გაწინმატდე ხურდაზე!

აი, რას ნიშნავს ნიჭი და ტალანტი! ახალგაზრდობაში თუ არა, სიბერეში მაინც გამოხეთქს. თუ არ გამოხეთქს, ცოტაზე გამოეუონავს მაინც.

ეს ლექსი გულზე მალამოდ დაედო და დიდხანს ასრულებდა ამ შეგონებას. სხვა პოეტური შთაგონება აღარ სწვევია და ლექსმაც თანდათან დაკარგა თავისი ფერი და ლაზათი.

მოდი და ნუ მოგივა გული! ყოველ საყიდელზე გადაითვლის ხურდას — აკლია! ხან ბევრი, ხან ცოტა!.. რა ქნას, მიუბრუნდეს გამყიდველს, უსაყვედუროს? მაღაზიებში იშვიათად ან სულ არ არის წარწერა — **„ფული დაითვალეთ სალაროსთან!“** ან ვინ დაგათვლევინებს, გინდაც იყოს ასეთი წარწერა! შენს უკან დგანან, დგანან, დგანან და დგანან!..

ლექსმა რომ არა უშველა რა, ახლა სხვა ხერხი გამოსცადა. მაღაზიაში თუ ბაზარში წასვლის წინ გერონტი მოისმენდა მუსიკას, ასწევდა თავისი განწყობილების ტონუსს... ფსიქიკურად განეწყობოდა, რომ ნებისმიერ მაღაზიაში მას მშვენიერი, მოღიმარი გოგონა დახვდებოდა უთუოდ, ფერიასავით შეეგებებოდა და სულ ჭიკ-ჭიკით დააყრიდა — **„რას ინებებთ? რამდენს ინებებთ? დიახ, ბატონო! ამ ნუ-ში მოგართმევთ! აბ, ეს არ გნებავთ? ეს ინებეთ, ეს უკეთესია! აბ, ესეც არ გნებავთ?**

ახლავე შეგირჩევთ თქვენს მოსაწონს. დიახ, ბატონო! გმადლობთ, რომ მობრძანდით ჩვენს მაღაზიაში! მშვიდობაში მოგახმაროთ! ღმერთმა შეგარგოთ! კვლავაც გელით, მობრძანდით! ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ!“

ამაზე ოცნებობდა გერონტი, ღმერთო, მაღირსე და გამაგონე ეს სიტყვებიო!..

იმ დღეს ჯერ კარაქი იყიდა. ტალონთან ერთად მოლარეს სამმანეთიანი მიაწოდა. მოლარემ ორმოცდაათი კაპიკი დაუბრუნა. 15 კაპიკი? სად გაქრა 15 კაპიკი? დგას გერონტი და ელოდება. აშარი ქალი ჩანს და ამიტომ სიტყვის თქმას ვერ უბედავს. დგომით კი დგას!..

— რას მიყურებ? კარაქი არ გინდოდა? აგერ დევს ყუთში, მიდი, აიღე! — უცებ ისე შეუტია მოლარემ, გერონტის შიშის ჟრუანტელმა დაუარა და ბოლმა ყელში მოაწვა. პარკი ჩანთაში ჩადო და მაღაზიიდან გავიდა. მართალია, თხუთმეტ კაპიკს კაცმა თავი არ უნდა შეაკლას, მაგრამ როცა აშკარად გაბითურებენ, აშკარად სულში გაფურთხებენ და ადამიანურ ღირსებას გილახავენ, რა უნდა ქნა? როდემდე? როდემდე? როდემდე? როდემდე ასეთი ციგნობა და მაიმუნობა?!.

„ჰო, შენ ციგნობა და მაიმუნობა უძახე! — ჩაესმის გერონტის თავისი ორეულის იდუმალი ხმა. ისინი (ორეული და გერონტი) ასეთ ვითარებაში ხშირად მართავენ დიალოგს, კამათობენ და ჭეშმარიტებას პაექრობაში ადგენენ. ჰოდა, იმ დღესაც მისმა ორეულმა უანგარიშა და დაუდგინა კიდეც ჭეშმარიტება, რომ ასეთი ხერხებით აწაპნილი, აღლეტილი, გამოგლეჯილი ათკაპიკიანებისა და თხუთმეტკაპიკიანებისაგან საკმაოდ დიდი თანხა დგება! — შენ კი დგახარ მათხოვარივით, ხელი გაგიშვერია და საკუთარ თხუთმეტ კაპიკს გულის ფანცქალით ელოდები!“

მერე კვერცხი იყიდა. გამყიდველმა ხურდა ზუსტად დაუბრუნა. მაგრამ გერონტის ეჭვი იმაზე შეეპარა, კვერცხები ზუსტად ჩამიწყო თუ არა ცელოფანის პარკშიო. ყურადღებიდან გამორჩა მუჭაში მოქცეული ხურდისთვის დაეხედა, რომელიც პურ-ფუნთუშეულის გამყიდველმა დაუბრუნა.

გერონტი ავტობუსის გაჩერებასთან მივიდა. როგორც იქნა, კვერცხზე ფიქრი ამოიგდო თავიდან და მუჭაში მოქცეული ხურდა გადათვალა. ალმურმა აჰკრა — ოცდაოთხი კაპიკი დაეკლო იმ გათახ... იმ უსინ... ოჰმე! ყელში სპაზმამ წაუჭირა გერონტის. ახლა კი მიბრუნდება მაღაზიაში, მიბრუნდება და... ო, რა ცეცხლს დაანთებს, ო, რა ომს ატეხს, ო, როგორ გადმოითრევს იმ გათახს... იმ უსინდ... ოჰმე!

— გერონტი! — უცებ მუხრუჭები მოუჭირა გრძნობებს, — ვაჟკაცი არა ხარ? ამ ომში უთუოდ დამარცხდები! ზონზროხა ქალს შენ როგორ მოერევი, წიწილასავით გაგბდღვნის, უთუოდ გაჯლობებს, უთუოდ! მერე იქნებ გულიც გაგისკდეს და ოხრად დაგრჩეს ხურდაც, ფქვილიც, შენი განუყრელი ჩანთაც!.. ხომ

იცი, შენს სიკვდილს ცუცა ვერ აიტანს და ისიც... გესმის, გერონტი, რამდენი უბედურება მოჰყვება იმ დაკარგული ხურდის დაბრუნება-არდაბრუნებას? ყველაფერს, ყველაფერს უნდა ელოდე, გარდა — სიტყვებისა: **„ღმერთმა შეგარგოთ! კვლავაც გელით, მობრძანდით!“**

მაინც მოუარა პენსიონერი კაცის სიჯიუტემ. გუნებაში შეაჯამა იმდღევანდელი დანაკლისი ხურდა. უკვე ნაღდი ოცდაცხრამეტი კაპიკი აეფცქვნათ!.. რა უთხრას ცუცას, ასეთი დოყლაპიობა გამოვიჩინეო? ქალი მაშინვე დაიკვნესებს და ვალერიანის წვეთებს ჩათვლის ჭიქაში!.. მათ კი უნდათ ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს!..

რა ქნას, რა ქნას გერონტიმ? რით და როგორ აინაზღაუროს დანაკლისი? ბოლოს ისლა მოიფიქრა, ავტობუსში ჩამჯდარიყო და მარგარინის საყიდლად შორეულ მაღაზიაში წასულიყო. არადა, გასტრონომიული მაღაზია იქვეა, ავტობუსის გაჩერებასთან. შედი, იყიდე და თავისუფალი იქნები! არა, მაინც შორეული მაღაზია არჩია. მგზავრობა უფასო აქვს — ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და მეტრო... ტაქსის გარდა!

ჩაჯდა გერონტი ავტობუსში და მომდევნო გაჩერებაზე გადმოვიდა. ეს ხუთი კაპიკი!.. ახლა ტროლეიბუსში ავიდა და ერთი გაჩერების შემდეგ ჩავიდა. ესეც ათი კაპიკი!.. გული თანდათან სიხარულით ევსება, გამოსავალს რომ მიაგნო. ჩაჯდა ტროლეიბუსში და ისევ ერთი გაჩერების მერე გადმოვიდა — ესეც თხუთმეტი კაპიკი!.. თანხა ორმოცზე ავიდა!.. თავისუფლად და შვებით ამოისუნთქა, ისეთი ნეტარებით აივსო, გუნებაში ჩარჩენილი რომელიღაც მელოდიაც კი წაიღიღინა.

რა ქნას კაცმა, ზოგჯერ თავი თუ არ მოიტყუა, ისე ცუცა და იგი ტკბილად ვერ შეაბერდებიან ერთმანეთს!

...შინ კვერცხები რომ გადათვალა, ზუსტად ოცი აღმოჩნდა. ამან უზომოდ აალელვა, იმდენად უზომოდ, რომ თვალში ცრემლი მოადგა, გული აუჩუყდა და სლუკუნით წარმოსთქვა:

— მადლობა ღმერთს, ქვეყანა არ დაღუპულა, თურმე ყოფილან პატიოსნებიც!

ნახ. გ. ლომიძისა



უსიტყვოდ

ბიუროკრატ დროიძეებს

შეგინდობთ ახალ ცოდვებს მინიერს,
ისეც გამძიმებთ ძველი ცოდვები!..
თუ რამ სიკეთე ვერ გამინიეთ,
თქვენს მონყალებას არც ველოდები,
რადგან რასა იქმთ, თავად არ იცით
და შავბნელ ზრახვებს მისდევთ
ბრიყვულად!
სულაც არა ვარ შესაბრალისი,
ამ ცხოვრებიდან არ გავრიყულვარ!
სული არა გაქვთ — ეშმაკს მიჰყიდეთ,
ფიტულებივით დახვალთ უგულოდ!..
რა დაგრჩენიათ დღეის იქითაც,
ქვეყანას ღია თვალით უყუროთ!
ამირანივით მხნე და მამაცი,
ბრძოლაში გიწვევთ ყველა მიზანთროპს!..
ერთი ნუთითაც აღარ დაგაცლით, —
კაბინეტებში გამოიზამთროთ!

ერთ-ერთ საპასპორტო მაგიდის გამგეს

მსმენია: ქრისტე იუდამ
ოცდაათ ვერცხლად გაყიდა!..
რამდენად შეელეოდი
შენ შენს მარჩენალ მაგიდას? —
მეწველ ძროხას რომ სჯობია,
თუმც ფერი დაჰკრავს სიძველის, —
ბალახის დაყრა არ უნდა,
ზამთარ და ზაფხულ ინველის.

ბოჩოლას საჩივარი კოლმეურნეობის მეველესა და ბრიგადირს

ვიცი, თქვენი საქონელი
დასეირნობს მთაში ლაღად,
მე პალოს ვარ გამობმული
და სიმჭლევით ნუ დამძრახავთ!
მინდორში რომ ძოვას მიშლით,
უტყვი რომ ვარ, შტერი მნახეთ?!
პურ-ღვინოს მე შევექცევი,
მოდით და თქვენ იბალახეთ!

ქვეგუდანი

სიბრძნით მორჭმულის როლში გამოდის,
თუ ტრიბუნაზე ყბედობს, —
სიტყვით მზად არის, მთელი სიცოცხლე
ქვეყნისთვის გაიმეტოს!
თუმცა ერთს ამბობს, ფიქრობს მეორეს,
გულში სხვა უდევს ზრახვა!
მადლი იქნება, ქვებუდანს ვინმე
პირში ჩასცემდეს ლახვარს!
ზოგჯერ მლიქვნელის როლში გამოდის,
ხან — მომხვეჭელის როლში!..
აღვირახსნილი არჩენს სვიანად
ის ცხრა პარტია ცოლ-შვილს!..
კარგად იფერებს თანამდებობას,
როს კაბინეტში სკამზე
გადაწოლილი და გაბღენძილი
მთხოვნელს „ზემოდან“ დამზერს!
მაღალ მწვერვალებს ეპოტინება,
ყალბი დიდების ჯიღას!..
ღმერთო, ასეთი კაცის შექმნისთვის
არ დავხარჯავდი თიხას!

აკაკი თევზაძე
(ვანის რაიონი)

უსიტყვოდ

ნარევი

თათბირომანია

— ალმასხანიჩ, სად ბრძანდებოდით?
— თათბირზე!
— ახლა სად გარბიხართ?
— თათბირზე!
— საქმეს როდისღა მივხედოთ?
— მაგ საკითხზე დღის ბოლოს, ნათათბირევს მოვითათბიროთ!

* * *

— ამბობენ, თურმე ზოგან ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადება ქაღალდზე ხდება! განა ეს შეიძლება?
— კაცმა მოინდომოს და შეუძლებელი რა არის?!

* * *

— რა შესანიშნავი ბალახი ამოსულა თქვენი კალათბურთის მოედანზე!..
— კი, წელს უკვე მესამედ გავთიბეთ!..

* * *

— ფიზკულტურის მეთოდისტი გააფრთხილეთ, მგონი შემოწმებაზე მოდიან და არაფერი გვქონდეს ცუდად!
— თეოფილოვიჩ, ალბათ გადაგავიწყდათ, მეთოდისტი თქვენი გაკრიტიკების მცდელობისა და სამუშაო პირობების შესაქმნელად რაღაც საკითხების დაყენებისათვის შარშან გავათავისუფლეთ სამუშაოდან, მაგრამ ეს ხელს რაში გვიშლის? სპორტული მოედნიდან იმ ტარა-მასალას დროებით სხვა ადგილზე გადავიტანთ და ყველაფერი წესრიგში იქნება!

* * *

— კალისტრატე, რა გინდოდა, კაცო, პოლიკლინიკაში?! ხომ მშვიდობაა?
— არაფერი, ისე, თავი გავიკონტროლე შაქარზე!

* * *

— ხალხო! ხალხო! აქეთ მოგროვდით!.. ამას კალისტრატესაგან ვინ მოელოდა?!
— რა მოხდა ასეთი?
— მეტი რა უნდა მოხდეს?.. კალისტრატესთვის 10 ტომარა შაქარი აღმოუჩენია კონტროლს!
— აااااااااااუ!

რევიზომანია

— რა საკითხზე ტარდება თათბირი?
— რევიზორს მოელიან და მისი მიღებამოსვენება, დასვენება-დასველების უზრუნველყოფის გეგმებს განიხილავენ!

* * *

— ახლა რაღაზე ტარდება თათბირი?
—რევიზორის მოსვენება-დასველება-გართობა-გაცილების უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგებს განიხილავენ!

„ბოტასი“

ნაცნობ გამყიდველს „ბოტასი“ ვთხოვე, 41 ან 43 ნომერი გექნებათ-მეთქი (სინამდვილეში 42 ნომერი მინდოდა). მითხრა, საღამოს შემომიარეო! შევიარე. შეწუხებული დამხვდა: მხოლოდ 42 ნომრებიაო!.. ნომერი გამივიდა!..

ნუგზარ გამყრელიძე
(თერჯოლის რაიონი)

№ 82
14.11 1989

ჯაგა ასათიანი

საყიდელ-გასაყიდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და გაღვიძებას სჯობდა სიკვდილი!..

ნათლიმამობამ
ერთხელაც გაჭრა
და გაინაღდა კაცმა მუნდირი!..
და ტანზე ისე მშვიდად ირგებდა,
ვთქვათ, როგორც ხარი —
შეჩვეულ უღელს!..
და ყასაბივით მარჯვედ ხმარობდა
ალესილ ცულს და პრიალა ხანჯალს,
ხან კუდს აჭრიდა საქვეყნო საქმეს,
ხან ცალ ფრთასა და
ხან კიდევ — კისერს!..
იქსოვებოდა სიცრუის ბადე
და იმ ბადეში
წვრილ-წვრილ ლიფსიტებს
დროდადრო ოქროს თევზიც ერია!..

თავი მართლაც რომ სიზმრად მეგონა
და გაღვიძებას სჯობდა სიკვდილი!..

1983 წ.

პირისპირ

ისე იდექი
გრძელ მაგიდასთან,
სიკვდილმისჯილი იყავი თითქოს!..
რბილ სავარძელში
მჯდარ შენს მასპინძელს
აუთამაშდა ტუჩზე ღიმილი:
— ახლა აქ ვენებს ნუ გადაიჭრი,
ნელთბილი შხაპი ამშვიდებს ნერვებს!
მე თვითონ, აგერ ათი წელია,
ჩემს თავს ვუვლი და ცოცხალი დავრჩი!..
ნუ მიწყენ,
დროში მაგრად ვიჭრები,
ზარს ველოდები მთავრობის ხაზით,
თანაც კარს იქით
მიცდის ზღვა ხალხი!..

ერთი შვილისთვის
დაჟინებით ითხოვდა ბინას,
რძალ-დედამთილის გასაშველებლად!..
სხვას საქაღალდე
ჩაებღუჯა ძვირფას განძივით,
ერთტომეული ჰქონდა ოცნებად!..
მესამე, მგონი,
უჩიოდა კარის მეზობელს,
დღე იძინებს და ღამე ლოთობსო!..
მეოთხეს, თურმე,
დაეკარგა გუშინღამ თავი,
გულით სჯეროდა — აქ იპოვიდა!..
მეხუთე — კიბეს
ამოსდევდა აღელვებული:
— ისევ აქ არის?! ხომ არ წავიდა?!..

ყოველ ორშაბათს ეს მოსაცდელი
იხუნძლებოდა, ვით ერთ დროს —
„კონკა“!..
ის დღე კი ჩაგრჩა, როგორც ღიმილი
მატარებელში გაქურდულ კაცის!

1982 წ.

აქ, ამ ქალაქში

მავანი აქებს მეზობლის ჯაშუშს,
მუჭში იცინის და მხრებს იჩეჩავს!
მავანი დღესაც გასაძვრომს ეძებს,
ძაძებს დაჰკიდებს სარკმელს ყასიდად!..
ღმერთო, გვარგუნე უქარო ცა და
განუძარცვავი ხეთა ტოტები!..
აქ, ამ ქალაქში დგას ქართველთ სახლი,
აქ ყვავის ჩვენი თეთრი ყვავილი!

1984 წ.

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

7-89 89-82

ქელამდე ვალში!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 3 (1781). თებერვალი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ივთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 03. 01. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 01. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1 უე 04615 ტირაჟი 129.000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა